



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართვებლობის

დებულება

-2022-

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა დამოუკიდებელი, წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების ფარგლებში, როგორც უნივერსიტეტის შიგნით ასევე მის გარეთ.

2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

3. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული დელეგატებისგან.

მუხლი 2.

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა ან სხვა რაიმე ზემოქმედების მოხდენა, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ასევე ნებისმიერი სხვა პირებისგან. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 3.

სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, ქ. თბილისი, სამღერეთის ქ., #5,

მუხლი 4.

სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უნივერსიტეტი - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით“ და უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

გ) სტუდენტური თვითმმართველობა - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაცია.

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - გურამ თვართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი ორგანო, რომელიც კანონის საფუძველზე ახორციელებს უნივერსიტეტის მართვასა და ადმინისტრირებას.

ე) ფაკულტეტი - გურამ თვართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შესაბამისი ცოდნისა და აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

ვ) წარმომადგენლობითი პალატა - გურამ თვართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

ზ) პრეზიდენტი - გურამ თვართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი პირი.

თ) მონიტორინგის სამსახური - გურამ თვართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების მაკონტროლებელი საბჭო.

კ) დებულება - სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს თვითმმართველობის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

ლ) დეპარტამენტი - კონკრეტულ სფეროში (განათლება და მეცნიერება, კულტურა, სპორტი, სამართალი) დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

თავი II

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება- მოვალეობები

მუხლი 5

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას და წარმოადგნოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში ასევე მის გარეთ.

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს თვითრეალიზებაში.

გ) სწავლის პერიოდში დაეხმაროს სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში.

დ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონის პატივისცემის ამაღლებას.

მუხლი 6.

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- ა) იცავს და წარმოადგენს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.
- ბ) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობას სახელმწიფოს ინტერესების განხორციელების პროცესში.
- დ) სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7.

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

- ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
- ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები.
- გ) სხვა, კანონით ნებადართული შემოსავლები.

თავი III

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

მუხლი 8.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული დელეგატი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის თავისი ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად და მისი გაწვევა დაუშვებელია.

3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

მუხლი 9.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა იწყება მისი არჩევის მომენტიდან.

2. დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება

ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება/ შეწყვეტა.

გ) უნივერსიტეტის წესდების ან წინამდებარე დებულების წესების დარღვევა

დ) არასაკაპიო მიძნით 2 თვის მანძილზე მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადება

ვ) გარდაცვალება

მუხლი 10.

დელეგატის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მოხდება ხელახალი კონკურსის გამოცხადება და ხელახალი წევრის შერჩევა.

თავი IV.

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებია:

მუხლი 11.

1. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო - წარმომადგენლობითი პალატა

2. სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო - პრეზიდენტი.

3. სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანო - მონიტორინგის სამსახური

4. სტუდენტური თვითმართველობის დეპარტამენტი

თავი V

სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენლობითი პალატა

მუხლი 12.

1. სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს წარმომადგენლობითი პალატა
2. წარმომადგენლობითი პალატა შედგება სტუდენტურ თვითმართველობაში პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული ათი დელეგატისგან.
3. წარმომადგენლობითი პალატა შედგება თითოეული ფაკულტეტიდან (სამართალი, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების) ხუთ-ხუთი დელეგატით.

მუხლი 13.

1. წარმომადგენლობითი პალატა იკრიბება თვეში არანაკლებ ერთხელ.
2. წარმომადგენლობითი პალატის კრებას თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი.
3. წარმომადგენლობითი პალატის კრებაზე წყდება თვითმართველობის სფეროში არსებული ყველა საკითხი.
4. წარმომადგენლობით პალატაში ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმათა სიითი უმრავლესობით.

თავი VI.

სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი

მუხლი 14.

სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი, არის სტუდენტური თვითმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს წარმომადგენლობით ორგანოს, წარმოადგენს სტუდენტურ თვითმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 15.

1. სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტს შემოსული განაცხადების საფუძველზე, დელეგატთაგან ფარული ან შეთანხმების საფუძველზე ღია

კენჭისყრით, ირჩევს წარმომადგენლობითი პალატა დამსწრე დელეგატების ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 16

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისათვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური, რომელშიც კენჭი ეყრება ორ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს.

2. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისათვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

3. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთი კანდიდატი, რომელიც ვერ დააგროვებს არჩევისათვის ხმათა საკმარის რაოდენობას, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 17.

1. თვითმმართველობის პრეზიდენტად არჩევა ხდება ორი წლის ვადით

2. პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებას

3. პრეზიდენტს აქვს უფლება წესდებაში შეიტანოს ცვლილება თუ თანახმაა სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 18.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის

საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ) უნივერსიტეტის წესდების ან წინამდებარე დებულების წესების დარღვევა;

დ) არასაკმატო მიზნით 2 თვის მანძილზე მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადება;

ვ) გარდაცვალება

2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 19.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;

ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს წარმომადგენლობით პალატას.

გ) უძღვება წარმომადგენლობითი პალატის სხდომებს სხდომებს;

დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;

ვ) ხელს აწერს წარმომადგენლობითი პალატის სამართლებრივ აქტებს;

ზ) მიზანშეწონილად მიიჩნევის შემთხვევაში ახდენს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გადავადებას არაუმეტეს ექვსი თვისა და დასამტკიცებლად წარუდგენს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი პალატას;

თ) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობით პალატთან ერთად შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით განსახორციელებელ პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის ფარგლებში არსებულ სტუდენტური პროექტების დაფინანსების კომისიას;

ი) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობით პალატასთან ერთად განიხილავს ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებს და წარუდგენს მათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსახილველად;

კ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;

ლ) წარმომადგენლობით პალატას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას;

მ) უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა პირები დაკავებული თანამდებობებიდან;

- ნ) აკომპლექტებს დეპარტემენტების შემადგენლობას, ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტების თავმჯდომარეებს/თავმჯდომარის მოადგილეებს;
- ო) განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ქმნის კომისიებს და ნიშნავს მის წევრებსა და თავმჯდომარეებს;
- პ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს;
- ჟ) ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის საპატიო წევრის წოდებას;
- რ) აცხადებს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს არჩევნებამდე არაუგვიანეს 30 დღისა;
- ს) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და უნივერსიტეტის წესდებას.

მუხლი 20

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:
 - ა) 6 თვეში ერთხელ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;
 - ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

მუხლი 21

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.
2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 22

1. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1/3+1-ს (4 დელეგატი) შეუძლია საერთო კრების დღის წესრიგში დააყენოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის

იმპიჩმენტის საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3+1 (7 დელეგატი).

თავი VII.

სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური

მუხლი 22

სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური არის სტუდენტური თვითმმართველობის მაკონტროლებელი ორგანო. რომელიც შედგება თავმჯდომარისა და 4 დელეგატისგან, ფაკულტეტების მიხედვით.

მუხლი 23

მონიტორინგის სამსახურის წევრი არ შეიძლება იყოს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 24

1. მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეს და ოთხ წევრს ორი წლის ვადით, გაკეთებული განაცხადების საფუძველზე ირჩევს თვითმმართველობის დელეგატები, ხმათა უმრავლესობით.
2. მონიტორინგის თავმჯდომარე ნიშნავს საბჭოს მდივანს (ხმის უფლების გარეშე)
3. მონიტორინგის თავმჯდომარე გამოსცემს დადგენილებას.

მუხლი 25

1. მონიტორინგის საბჭო იკრიბება თვეში არანაკლებ ერთხელ
2. მონიტორინგის საბჭოს კრების რაოდენობასა და თარიღს განსაზღვრავს მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 26

სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური:

1. ამოწმებს ღონისძიებებისა და პროექტების ხარჯების მიზანშეწონილობას
2. ზედამხედველობს პროექტების მიმდინარეობას
3. ყოველი თვის ბოლოს აჯამებს განხორციელებული პროექტებსა და მათი ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას.

4. ზედამხედველობს სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მასზე დაკისრებული უფლებამოსილებების სათანადოდ შესრულებას.
5. ანაგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით პალატას, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოახდენს ადეკვატურ რეაგირებას.

თავი VII

სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი

მუხლი 27

1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების განხორციელებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 28

1. დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრებისაგან, რომლებიც ახორციელებენ დეპარტამენტის მართვას.
2. დეპარტამენტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
3. დეპარტამენტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. დეპარტამენტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 29

1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტის სხდომა ტარდება კვირაში ერთელ და მას უძღვება ცენტრალური დეპარტამენტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი - თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.
2. ცენტრალური დეპარტამენტის რიგგარეშე სხდომას იწვევს:
 - ა) ცენტრალური დეპარტამენტის თავმჯდომარე ან რომელიმე მოადგილე თავისი ინიციატივით.
 - ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 30

1. სტუდენტურ თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი ცენტრალური დეპარტამენტები:

- ა) განათლების, მეცნიერებისა და კულტურის;
- ბ) სპორტის;
- გ) სამართლის

მუხლი 31

1. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებს და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს. კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, აგრეთვე შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისათვის სასურველ პიროვნებებთან.

მუხლი 32

1. სპორტის დეპარტამენტი აწყოფს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასვა სახეობებში, თანამშრომლობს თსუ-ის კულტურა და სპორტის დეპარტამენტთან, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 33

1. სამართლის დეპარტამენტი გეგმავს ღონისძიებებს იურიდიული მიმართულებით, თანამშრომლობს ცნობილ იურისტებთან, გეგმავს და ატარებს საჯარო შეხვედრებს და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას.

თავი VIII

თვითმმართველობის წევრები

მუხლი 34

1. თვითმმართველობის წევრი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც სასწავლებელში არ იკავებს რაიმე აკადემიურ თანამდებობას.

2. წევრს უფლება აქვს ჩაერთოს დეპარტამენტების საქმიანობაში, დაესწროს წარმომადგენლობითი პალატის სხდომებს, მაგრამ არ სარგებლობს ხმის უფლებით.

3. წევრობის მსურველმა განაცხადის საფუძველზე უნდა მიმართოს უნივერსიტეტის თვითმართველობის პრეზიდენტს ან ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც წარმომადგენლობითი პალატის პირველივე სხდომაზე დააყენებს საკითხს მსურველის თვითმართველობაში შემოერთების შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით.

თავი IX

სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისია

მუხლი 34

1. სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისია არის არამუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც კომპლექტდება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.
2. საარჩევნო კომისია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც არ არის ანგარიშვალდებული არავის წინაშე.
3. საარჩევნო კომისია შედგება 6 წევრისაგან რომელთაგან ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარეა.
4. საარჩევნო კომისიის წევრად არჩევა ხდება შემოსული განცხადებების გადარჩევის საფუძველზე.
5. კომისიის წევრთა კანდიდატების განაცხადებებს განიხილავს წარმომადგენლობითი პალატა.
6. საარჩევნო კომისიის შემადგენლობას და თავმჯდომარეს დამსწრე დელეგატთა ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს წარმომადგენლობითი პალატა.

მუხლი 35

1. საარჩევნო კომისიის პირველი კრება ტარდება მათი არჩევიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის პირველ კრებაზე წევრებიდან ირჩევს კომისიის მდივანს.
3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიასთან შეთანხმებით ადგენს არჩევნების თარიღს, გონივრულ ვადაში.
4. საარჩევნო კომისიის კრებაზე წილისყრით ხდება საორგანიზაციო საკითხების გადანაწილება.

მუხლი 36

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების წინა დღეს ამოწმებს ბიულეტენებს, ასევე საარჩევნო უბნების ტექნიკურად გამართულობას.

მუხლი 37

1. კენჭისყრის დასრულების შემდგომ თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს საარჩევნო კომისიის წევრებიდან 3 კაცს, რომელიც გახსნის დალუქულ ურნას და დათვლის ბიულეტენებს.

2. არჩევნების შედეგები ფორმდება შესაბამისი ფორმით, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და უკლებლივ ყველა წევრის ხელმოწერა.

3. აღნიშნული ოქმი არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა უნდა გადაეცეს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომდგენლობით პალატას.

4. არჩევნების შედეგი საბოლოოა და იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩვირდეს არჩევნების დასრულებიდან 5 დღის ვადაში წარმომდგენლობით პალატაში.

5. აღნიშნული გასაჩვირების ვადის გასვლის შემდგომ საარჩევნო კომისია წყვეტს უფლებამოსილებას.

თავი X

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 38

1. წინამდებარე დებულება ძალაში შევიდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე.

2. ამ დებულების მიღებით გაუქმდეს სტუდენტური თვითმმართველობის ბოლოს მიღებული დებულება.

ლევან ყაულაშვილი

2 დეკემბერი, 2022 წ

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

ქ. თბილისი